საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

№ 12/30-09 „24" 07 2017 წ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანის ბრძანება N 12

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/ სტუდენტების შესარჩევი კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის 135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და 21–ე მუხლის მე–6 პუნქტის,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 09 ივნისის №49/2014 და 2017 წლის 17 მაისის N54/2017 დადგენილების, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 25 მაისის სხდომაზე (ოქმი # 3) დამტკიცებული „ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/ სტუდენტების შერჩევის კრიტერიუმებისა და ვადების განსაზღვრის წესის" საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე

ილია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax.
ელ-ფოსტა: social@tsu.ge; E-mail

განსაზღვრულ ვაკანტურ ადგილებზე კონკურსანტთა შესარჩევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- მარინა ბურძენიძე - კომისიის თავმჯდომარე, დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
- ხათუნა მაისაშვილი - ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი;
- ფიქრია ასანიშვილი – ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი;
- მარეხ დევიძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარ სპეციალისტი;
- მედეა უშარაული - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
- ნათელა მონიავა - კომისიის მდივანი, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი

2. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების განთავსება და დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა.
3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანი, ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია